

# გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია

## 2019 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს 2019 წლის 1 იანვრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

### ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური

2019 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გათვალისწინებულია 40 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 14 527 550 ლარს. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს: გარდაბნის მუნიციპალიტეტის 7 სოფელში გზის რეაბილიტაციას საერთო ღირებულებით 4 026 211 ლარი, 3 სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობას საერთო ღირებულებით 509 329 ლარი, ქ. გარდაბანში და მუნიციპალიტეტის 7 სოფელში კულტურული და სპორტული ობიექტების მშენებლობას-რეაბილიტაციას საერთო ღირებულებით 1 165 288 ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოებს თანხით 2 132 730 ლარი, სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს თანხით 3 982 546 ლარი (მათ შორის გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგების სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულება), მუნიციპალიტეტის 3 სოფელში ახალი საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოებს თანხით 3 312 036 ლარი და ასევე ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში გარე-განათების სამუშაოების პროექტს საერთო ღირებულებით 399 409 ლარი.

**ამ ეტაპზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დასრულებულია 22 სამშენებლო სამუშაოები, თანხით 4 300 423 ლარი, კერძოდ:**

1. ქ. გარდაბანში სპორტული მოედნის მოწყობა - 70 965 ლარი;
2. სოფელ თელეთში გარე-განათების მოწყობა - 93 250 ლარი;
3. სოფელ სართიჭალაში მინი მოედნის მოწყობა - 82 070 ლარი;
4. სოფელ ახალსოფელში მინი მოედნის მოწყობა - 79 133 ლარი;
5. სოფელ გამარჯვებაში სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა - 134 679 ლარი;
6. სოფელ სართიჭალაში სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა - 137 365 ლარი;
7. სოფელ მარტყოფში გზის მოასფალტება - 540 000 ლარი;
8. სოფელ სართიჭალაში N2 საჯარო სკოლის შენობის და სანკვანძის, სოფელ მულანლოში, სოფელ თელეთში და სოფელ სართიჭალაში ორი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების შეკეთება - 40 716 ლარი;
9. სოფელ ნორიოში გზის მოასფალტება - 369 409 ლარი;
10. სოფელ ახალსოფელში გზის მოასფალტება - 508 887 ლარი;
11. სოფელ ახალ სამგორში გზის მოასფალტება - 306 3217 ლარი;
12. სოფელ ლემშენიერაში გზის მოასფალტება - 355 368 ლარი;
13. ქ. გარდაბანში სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობა - 237 285 ლარი;
14. ქ. გარდაბანში მერიის უკან მდებარე შენობის რეაბილიტაცია - 106 868 ლარი;
15. სოფელ კრწანისში, მთისძირის დასახლებაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 119 121 ლარი;
16. სოფელ საცხენისში სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 488 790 ლარი; 17. სოფელ ახალ სამგორში გარე-განათების მოწყობა - 95 934 ლარი;
18. სოფელ მარტყოფში გარე-განათების მოწყობა - 85 000 ლარი;

19. ქ. გარდაბანში მეგობრობის სახლის რეაბილიტაცია - 153 471 ლარი; 20. ქ. გარდაბანში გამარჯვების ქუჩის და ხარძიანის ქუჩის, გარდაბნის მუნიციპალიტეტში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს მზიურის დასახლებაში გარე-განათების მოწყობა - 65 750 ლარი;
21. სოფელ სართიჭალაში რადიო სადგურის დასახლების საცხოვრებელი კორპუსების, სამხედრო დასახლების მე-6 კორპუსის, სოფელ თელეთში წალასყურის მე-9 ქუჩის მე-5 და მე-6 კორპუსის სახურავების რეაბილიტაცია - 170 669 ლარი;
22. სოფელ ვაზიანში გარე-განათების მოწყობა - 59 475 ლარი.

**მიმდინარეობს 15 სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ:**

1. ახალსოფელი, ნორიო და მარტყოფის წყალმომარაგების ქსელის პირველი ეტაპის დასრულების სამშენებლო სამუშაოების - 3 374 635 ლარი;
2. სოფელ მარტყოფში მუსიკალური სკოლის მშენებლობა -276 626 ლარი;
3. სოფელ აღთაკლია-ყარათაკლიაში ახალი ბაღის მშენებლობა (II ეტაპი) – 938 000 ლარი;
4. სოფელ საცხენისში სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 557 106 ლარი;
5. სოფელ კრწანისში, მთისძირის დასახლებაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 157 734 ლარი;
6. სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 132 889 ლარი;
7. სოფელ თელეთში გზების რეაბილიტაცია (2კმ) – 948 669 ლარი;
8. ქ. გარდაბანში რკინიგზის ქუჩაზე კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა - 358 993 ლარი;
9. ქ.გარდაბანში აღმაშენებლის N10-ში მდებარე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 327 997 ლარი;
10. სოფელ ყარათაკლიაში სპორტული მოედნის მოწყობა - 81 965 ლარი;
11. ქ.გარდაბანი (კაპანახჩის დასახლებაში) და ქ.გარდაბანში საბავშვო სკვერების მოწყობა - 65 995 ლარი;
12. სოფელ სართიჭალაში მულანლოს დასახლება და მარტყოფში სტადიონის რეაბილიტაცია - 50 864 ლარი.
13. სოფელ სართიჭალაში სპორტული მოედნის მოწყობა - 87 999 ლარი;
14. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვება 1-ში სპორტული მოედნის მოწყობა - 72 100 ლარი;
15. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარაში სპორტული მოედნის მოწყობა - 77 206 ლარი.

**მიმდინარეობს 7 სამშენებლო სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმება, კერძოდ:**

1. ქ. გარდაბანში ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია - 895 494 ლარი;
2. სოფელ ქვემო თელეთში საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-მოწყობა - 719 036 ლარი;
3. სოფელ სააკაძეში საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-მოწყობა - 655 000 ლარი;
4. სოფელ ქვიშიანში შიდა გზების რკინა-ბეტონით მოწყობა (2.2კმ) – 997 660 ლარი.

**რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 9 სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ქ. გარდაბანში და მუნიციპალიტეტის 6 სოფელში გზის მოასფალტების და 2 საბავშვო ბაღის ეზოების კეთილმოწყობის, სამუშაოებს საერთო ღირებულებით 8 065 918 ლარი. ასევე აღნიშნული ფონდის დაფინანსებით ხორციელდება სხვა სახის სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ:**

1. ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 11 სოფელში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია - 1 290 000 ლარი;
2. 4 ამბულატორიის მშენებლობა და 4 ამბულატორიის რეაბილიტაცია - 417 485 ლარი;
3. სოფელ კრწანისში და მარტყოფში ნაპირსამაგრი სამუშაოები - 281 254 ლარი.

**მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს 4 პროექტის სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 20 261 827 ლარი, კერძოდ:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (II ეტაპი) – 16 245 634 ლარი;
2. სოფელ გამარჯვებაში და სოფელ კუმისში საბავშვო ბაღების მშენებლობა - 2 977 000 ლარი;
3. სოფელ მუხროვანში საჯარო სკოლის მშენებლობა - 1 039 193 ლარი.

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა 40 სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 662 000 ლარი.**

აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ მიმდინარეობს ეტაპობრივად 66 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (თანხით 42 138 935 ლარი), რომლითაც 2020 წელს მოხდება ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება, კერძოდ:

1. სოფელ კრწანისში გზების მოასფალტება 800,000 ლარი;
2. სოფელ სართიჭალაში გზების მოასფალტება 998,907 ლარი;
3. სოფელ ვახტანგისში გზების მოასფალტება 741,720 ლარი;
4. სოფელ ნაზარლოში გზების მოასფალტება 663,010 ლარი;
5. სოფელ აღთაკლიაში გზების მოასფალტება 703,540 ლარი;
6. სოფელ ყარაჯალარში გზების მოასფალტება 802,830 ლარი;
7. სოფელ ჯანდარაში გზების მოასფალტება 700,940 ლარი
8. ქ. გარდაბანში შიდა გზების მოასფალტება 2,704,400 ლარი;
9. ქ. გარდაბანში შიდა გზების მოასფალტება 743,200 ლარი;
10. სოფელ ლემშენიერაში გზების მოასფალტება 1,300,000 ლარი;
11. სოფელ ფოლადაანთკარში გზის ბეტონის მოწყობა 885,497 ლარი;
12. სოფელ ქვიშიანში გზების მოასფალტება (ბეტონი) 467,940 ლარი;
13. სოფელ ქვიშიანში გზების მოასფალტება 529,720 ლარი;
14. სოფელ ნორიოში გზების მოასფალტება 1,466,733 ლარი;
15. სოფელ ახალ სამგორში გზების მოასფალტება 883,506 ლარი;
16. სოფელ ყარათაკლიაში გზების მოასფალტება 710,120 ლარი;
17. სოფელ ქესალოში გზების მოასფალტება 702,210 ლარი;
18. სოფელ კალინინოში გზების მოასფალტება 707,780 ლარი;
19. სოფელ საცხენისში გზების მოასფალტება 308,000 ლარი;
20. სოფელ ლემშენიერაში N1 და N2 ,სოფელ მზიანეთში ბაღების რეაბილიტაცია 1,375,596 ლარი;
21. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა 2,833,629 ლარი;
22. გარდაბნის მუნიციპალიტეტში შემოსასვლელი აბრის რეაბილიტაცია 100,000 ლარი;
23. ქ. გარდაბანში ცენტრალური გზის გასწვრივ ბორდიურებ შორის არსებული სივრცის მიწით ამოვსება 452,368 ლარი;
24. ქ. გარდაბანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია 313,601 ლარი;
25. სოფელ ნორიოში, მზიურის დასახლებაში ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობა 381,132 ლარი;
26. სოფელ კუმისში სპორტული დარბაზის მშენებლობა 2,000,000 ლარი;
27. სოფელ მარტყოფში სპორტული დარბაზის მშენებლობა 1,853,556 ლარი;
28. სოფელ ნორიოში სპორტული დარბაზის მშენებლობა 2,000,000 ლარი;
29. სართიჭალაში არსებული საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია-გაფართოება 750,000 ლარი;
30. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო თელეთი, ქვემო თელეთი, ახალი წყალი, წალასყური, მუხრანთელეთსა და კუმისში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა 5,000,000 ლარი;
31. სოფელ ახალსოფელში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 80,000 ლარი;

32. სოფელ ახალ სამგორში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 80,000 ლარი;
33. სოფელ საცხენისში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 100,000 ლარი;
34. სოფელ სართიჭალაში მდებარე N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 200,000 ლარი;
35. სოფელ სართიჭალაში მდებარე N3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 100,000 ლარი;
36. სოფელ სართიჭალაში, მულანლოს დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 250,000 ლარი; 37. სოფელ მარტყოფში მდებარე N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 200,000 ლარი;
38. სოფელ თელეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალწყალში და ქვემო თელეთში შიდა გზების რეაბილიტაცია. 1,000,000 ლარი;
39. სოფელ სართიჭალაში, მულანლოს დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია. 800,000 ლარი;
40. სოფელ გამარჯვებაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. 400,000 ლარი;
41. ნორიო-ლილოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. 800,000 ლარი;
42. ქ. გარდაბანში, სოფელ თელეთი და სოფელ კრწანისში მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. 500,000 ლარი;
43. სოფელ ახალსოფელში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა-მოწყობა. 150,000 ლარი;
44. სოფელ სართიჭალაში გარე-განათების მოწყობა 400,000 ლარი;
45. სოფელ თელეთში გარე-განათების მოწყობა 100,000 ლარი;
46. სოფელ მარტყოფში გარე-განათების მოწყობა 100,000 ლარი;
47. სოფელ გამარჯვებაში გარე-განათების მოწყობა 800,000 ლარი;
48. სოფელ ქვიშიანში გარე-განათების მოწყობა 20,000 ლარი;
49. სოფელ კუმისში გარე-განათების მოწყობა 100,000 ლარი;
50. სოფელ ვაზიანში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
51. სოფელ ვახტანგისში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
52. სოფელ ქესალოში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
53. სოფელ ნაზარლოში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
54. სოფელ მულანლოში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
55. სოფელ ახალსოფელში გარე-განათების მოწყობა 50,000 ლარი;
56. სოფელ აღთაკლია, ყარათაკლია და ყარაჯალარში გარე-განათების მოწყობა 150,000 ლარი;
57. სოფელ ნორიოში გარე-განათების მოწყობა 100,000 ლარი;
58. სოფელ ახალ სამგორში გარე-განათების მოწყობა 500,000 ლარი;
59. სოფელ კრწანისში სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაცია 150,000 ლარი;
60. სოფელ ვახტანგისში სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაცია 150,000 ლარი;
61. სოფელ ლემშენიერაში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 200,000 ლარი;
62. სოფელ კალენინოში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 100,000 ლარი;
63. სოფელ ნაგებში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 70,000 ლარი;
64. სოფელ ვახტანგისში მდებარე N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 200,000 ლარი;
65. სოფელ ვახტანგისში მდებარე N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 100,000 ლარი;
66. ქ.გარდაბანში მდებარე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. 60,000 ლარი.

გაცნობებთ, რომ მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურმა 2019 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით განიხილა და ადგილზე შესწავლით მოამზადა 3520 კორესპონდენცია. ასევე მომზადებული იქნა 161 - სამშენებლო ნებართვა, 160 - მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ბრძანება, 228 - I კლასის ნებართვა, 16 - დემონტაჟის ნებართვა და 13 - ექსპლუატაციაში მიღების ბრძანება და მუნიციპალიტეტში შემოტანილმა მოსაკრებელმა შეადგინა 89 547 ლარი.

სამსახური პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას ინფრასტრუქტურის რეგიონული განვითარების სამინისტროს და ქვემო-ქართლის გუბერნიას, როგორც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ, ასევე რეგიონული ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

## ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, კერძოდ არაფინანსური აქტივების კლება დაიგეგმა ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მიერ, რომელიც შეადგენდა 200 000 ლარს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობებმა შეადგინა 1 143 714 ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2019 წლის საპრივატიზაციო ნუსხის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა (არაფინანსური აქტივების კლება) შეადგინა 556 105 ლარი, კერძოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ყოფილი საავადმყოფოს შენობის ს/კ №81.15.13.453 და ს/კ №81.15.13.454 ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება, ღირებულებით 551056 ლარი და სოფელ სართიჭალაში მდებარე 27 ცალი ბეტონის ფილის (სინკარი) პრივატიზება, თანხით 5049 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი მიღებულია საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან, რომელმაც შეადგინა 587 609 ლარი.

მიმდინარე წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 36 უძრავი ქონება. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მოთხოვნა გადაგზავნილია 8 უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა დოკუმენტაცია ქ. გარდაბნის შიდა გზების გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით.

№	ტერიტორიული ორგანო, მისამართი	უძრავი ქონების დასახელება	რეაგირება
1	კაპანახჩი	სასაფლაო	მუნიციპალური საკუთრება №81.15.17.174
2	ქ. გარდაბანი	ქ. გარდაბნის ადგილობრივი მნიშვნელობის გზა	მუნიციპალური საკუთრება №81.15.16.375
3	ქ. გარდაბანი	სასაფლაო	მუნიციპალური საკუთრება №81.15.20.378
4	ქ. გარდაბანი	სასაფლაო	მუნიციპალური საკუთრება №81.15.02.552
5	გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი	კულტურის სახლი	მუნიციპალური საკუთრება №81.11.07.423
6	გარდაბანი, სოფ. ქესალო	ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (განხორციელდა დაყოფა)	მუნიციპალური საკუთრება №81.16.08.772
7	გარდაბანი, სოფ. ქესალო	ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (განხორციელდა დაყოფა)	მუნიციპალური საკუთრება №81.16.08.773

8	გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი	სამედიცინო პუნქტი (გაიმიჯნა)	მუნიციპალური საკუთრება №81.13.16.243
9	გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი	დაგეგმილია ამბულატორიის მშენებლობა	მუნიციპალური საკუთრება №81.13.16.244
10	გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი	სამედიცინო პუნქტი (გაიმიჯნა)	მუნიციპალური საკუთრება №81.13.16.245
11	გარდაბანი, სოფ. საცხენისი		მუნიციპალური საკუთრება №81.11.01.572
12	გარდაბანი, სოფ. საცხენისი	დაგეგმილია ამბულატორიის მშენებლობა	მუნიციპალური საკუთრება №81.11.01.573
13	გარდაბანი, სოფ. სართიჭალა	იგეგმება სპორტული მოედნის მოწყობა	მუნიციპალური საკუთრება №81.12.18.215
14	გარდაბანი, სოფ. სააკაძე	იგეგმება ამბულატორიის რეაბილიტაცია	მუნიციპალური საკუთრება №81.10.29.657
15	გარდაბანი, სოფ. კრწანისი	იგეგმება საჭიდაო დარბაზის მოწყობა	მუნიციპალური საკუთრება ს/კ №81.04.22.080
16	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი	მიწის ნაკვეთები მოვითხოვეთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი) წყალმომარაგების პროექტის II ეტაპის მშენებლობის განხორციელების მიზნით	მუნიციპალური საკუთრება №81.10.34.494
17	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი		მუნიციპალური საკუთრება №81.10.04.566
18	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი		მუნიციპალური საკუთრება №81.10.30.976
19	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი		მუნიციპალური საკუთრება №81.10.34.493
20	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		მუნიციპალური საკუთრება №81.10.34.492
21	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		მუნიციპალური საკუთრება №81.10.34.495

22	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		მუნიციპალური საკუთრება №81.10.30.977
23	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		მუნიციპალური საკუთრება №81.10.28.755
24	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		მუნიციპალური საკუთრება №81.10.28.754
25	გარდაბანი, სოფ. ნორიო		მუნიციპალური საკუთრება №81.09.25.531
26	გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი		მუნიციპალური საკუთრება №81.11.08.461
27	გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი		მუნიციპალური საკუთრება №81.11.09.846
28	გარდაბანი, სოფ. მუხროვანი		მუნიციპალური საკუთრება №81.11.05.870
29	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება		მუნიციპალური საკუთრება №81.07.27.336
30	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება		მუნიციპალური საკუთრება №81.07.27.337
31	გარდაბანი, სოფ. ახალსამგორი		მუნიციპალური საკუთრება №81.13.02.185
32	გარდაბანი, სოფ. სართიჭალა	სპორტული მოდნისთვის	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
33	ქ. გარდაბანი	სპორტული მოედანი	მუნიციპალური საკუთრება №81.15.29.420
34	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება	მიწის ნაკვეთები მოვითხოვეთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი) წყალმომარაგების პროექტის II ეტაპის მშენებლობის განხორციელების მიზნით	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
35	გარდაბანი, მარტყოფი, ვაზიანის დასახლება		
36	გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი		
37	გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი		

38	ქ. გარდაბანი	თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი	მუნიციპალური საკუთრება №81.15.08.446
39	გარდაბანი, სოფ. თელეთი	იგეგმება ამბულატორიის მშენებლობა	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
40	გარდაბანი, სოფ. მუხროვანი	იგეგმება ამბულატორიისა და საჯარო სკოლის მშენებლობა	მუნიციპალური საკუთრება №81.11.09.837
41	გარდაბანი, სოფ ახალსოფელი	იგეგმება ამბულატორიის რეაბილიტაცია	მუნიციპალური საკუთრება №81.11.07.156
42	გარდაბანი, ვაზიანის დასახლება	იგეგმება ამბულატორიის რეაბილიტაცია	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, მივიღეთ უარი
43	ქ. გარდაბანი	81.15.15.173-ტროტუარის ნაწილი	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
44	ქ. გარდაბანი	81.15.08.384 სკვერი	გადაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
45	გარდაბანი, სოფ. ჯანდარა	იგეგმება ამბულატორიის მშენებლობა	მუნიციპალური საკუთრება №81.19.03.250

გარდაბნის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების სახით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 150 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი.

№	მისამართი	საკადასტრო კოდი	სარგებლობის ფორმა	სარგებლობის პერიოდი	მოსარგებლელ უწყების/ორგანიზაციის დასახელება
1	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლისა და ლესელიძის ქუჩების გადაკვეთა	№81.15.08.397	უსასყიდლო უზუფრუქტი	არსებობის ვადით	ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“
2	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №73	№81.15.13.235 შენობა- ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული №27; №28, №29 და №32 ოთახები, საერთო ფართობით 106.64 კვ.მ	უსასყიდლო უზუფრუქტი	არსებობის ვადით	ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“

3	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №74	№81.15.13.235 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული №34 ოთახი, ფართით 17.70 კვ.მ	უსასყიდლო უზუფრუქტი	არსებობის ვადით	სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“
---	--	--	---------------------	-----------------	---------------------------------------

მომზადდა ხელშეკრულებები უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

№	მოძრავი ქონების დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები	სარგებლობის ფორმა	სარგებლობის პერიოდი	მოსარგებელე უწყების/ორგანიზაციის დასახელება
1	1 (ერთი) ერთეული, მიკრო ავტობუსი, ფორდ ტრანზიტი, სახელმწიფო ნომრით BB-546-LL (საიდენტიფიკაციო ნომერი WFOLXXGBVLXM71718).	უსასყიდლოდ, თხოვებით	არსებობის ვადით	ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის“
2	1. 1 (ერთი) ერთეული ექსკავატორი შემდეგი მონაცემებით: 1. მარკა MST, მოდელი M 544, ტიპი „ექსკავატორი“, საიდენტიფიკაციო ნომერი M544SU2102937, გამოშვების წელი 2018, რეგ. ნომერი SS733B.	უსასყიდლოდ, თხოვებით	არსებობის ვადით	ააიპ „გარდაბანსერვისი“
3	3 (სამი) ერთეული ტრაქტორი და 3 (სამი) ერთეული გუთანა (4 სექციური საკიდით) შემდეგი მონაცემებით: 1). БЕЛАРУСЬ MTZ-82,1 შასის №0006451, გ/წ 2015, სახელმწიფო ნომერი: AA298A, 2). БЕЛАРУСЬ MTZ-82,1 შასის №0006300, გ/წ 2015, სახელმწიფო ნომერი: AA295A, 3). БЕЛАРУСЬ - 82,1 ძარის №808219188, გ/წ 2016, სახელმწიფო ნომერი: GG697G.	უსასყიდლოდ, თხოვებით	არსებობის ვადით	ააიპ „გარდაბანსერვისი“

მომზადდა ხელშეკრულება ქ. გარდაბნის №3 ბაგა-ბაღის (ს/კ 81.15.15.065) შენობა №1-ში მდებარე სამი ოთახის (სასარგებლო ფართი 114.18 კვ.მ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქ. გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის 5 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის მიზნით. გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი სოფელ თელეთში მდებარე ს/კ №81.0.348 და სოფელ წალასყურში მდებარე ს/კ №81.00.350 ხაზოვანი ნაგებობების (გაზსადენი მილები) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, რეგისტრაციიდან მოხსნილი ავტომანქანების (ჯართი) პრივატიზების მიზნით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 10 ოქტომბრის №202 განკარგულებით სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 855 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.37.008) და სართიქალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.12.18.416) (საზოგადოებრივი ცენტრები).

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იჯარით გაცემულია შემდეგ მოიჯარეებზე:**

1. შპს „მაგთი“-ს - იჯარის უფლებით გადაეცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 278 ერთეული გარე განათების ქსელში არსებული საყრდენების (ბოძი) წერტილები, საყრდენზე ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ღირებულება განისაზღვრა 2 (ორი) ლარით.

2. სს „სილქნეტს“ - იჯარის უფლებით გადაეცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 456 ერთეული გარე განათების ქსელში არსებული საყრდენების (ბოძი) წერტილები, საყრდენზე ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ღირებულება განისაზღვრა 2 (ორი) ლარით.

მიმდინარე წელს შპს „იუ-ჯი-თი“-სთან დადებული ხელშეკრულებით შექმნილი იქნა 14 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი და 7 ერთეული ლეპტოპი.

**საკუთრების მოწმობა გაიცა 26 (ოცდაექვსი) საცხოვრებელ ბინაზე.**

## **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის იანვრიდან დღემდე 3935 მოქალაქეზე 1 897 591 ლარის ფინანსური დახმარება გაიცა**

- **ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 01)** - სამკურნალო/საოპერაციო მომსახურებისა და კლინიკაში არსებული დავალიანებისთვის - დახარჯულმა თანხამ 818 015 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 549 მოქალაქეს. ქვეპროგრამით სარგებლობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციართა ის კატეგორია, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდის უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირს და საჭიროებს სამედიცინო, სამკურნალო და სტაციონალურ მომსახურებას. აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო/დაყოვნებულ სამედიცინო ოპერაციას.
- **ერთჯერადი-მატერიალური დახმარების პროგრამა (06 02 05)** - 909 მოქალაქეზე დაიხარჯა 215 940 ლარი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას მოქალაქეთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, მაგრამ განიცდიან უკიდურეს ეკონომიურ გასაჭირს და სოციალურ საკითხებზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით მოქალაქე ნამდვილად საჭიროებს მატერიალურ დახმარებას.

- **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (06 02 06)** - სოციალური პროგრამის ერთერთი ქვეპუნქტთაგანია მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების

ანაზღაურებას. 2019 წლის იანვრიდან დღემდე მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის დახარჯულმა თანხამ 2000 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 8 ბენეფიციარს.

- **დიალეზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (06 02 07)** - გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს დიალეზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ყოველთვიურად ანაზღაურების პროგრამა; 2019 წელს 64 ბენეფიციარის მომსახურებისთვის 96 750 ლარი დაიხარჯა

- **C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა (06 02 08)** - 21 მოქალაქის სამკურნალო ხარჯებისთვის დაიხარჯა 2,081 ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს მთავრობის დადგენილება N356 (02/08/2019 წ) საფუძველზე გაუქმდა თანადაფინანსება პაციენტის მხრიდან და პროგრამაში ჩართვამდე წინა და მონიტორინგის პერიოდის ხარჯებს სახელმწიფო 100% დააფინანსებს. შესაბამისად მომავალი წლის ბიუჯეტში C ჰეპატიტის დაავადებულ პირთა დახმარებისთვის თანხები აღარ გაითვალისწინება.

- **დედ-მამით ობოლი ბავშვების (18 წლამდე) სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 09)** - მუნიციპალიტეტში აგრეთვე მოქმედებს დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა, რომელიც წელიწადში ორჯერ დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. პროგრამაში ჩართულ 10 ბენეფიციარს ამ ეტაპზე მიღებული აქვთ 5,000 ლარის ფინანსური დახმარება.

- **უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა (ბინის ქირა 06 02 10)**- გარდაბნის მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილი 4 მოქალაქისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფისთვის ჯამში გაცემულმა თანხამ 5 300 ლარი შეადგინა.

- **ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა ((06 02 11)** - სოციალური პროგრამა ითვალისწინებს ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა სოციალურ უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც 56-მა ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტიდან 22 950 ლარის ფინანსური დახმარება მიიღო. |

- ✓ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს - 500 (ხუთასი), ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს დახმარება გაეწიათ - 300 ლარის ოდენობით ( 9 მაისი); |

- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს - 17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავად თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ჩაერიცხათ. |

- ✓ სოციალურად დაუცველ ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე (გარდა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისა), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა შეადგენდა 1000-დან 65 000-მდე, დახმარება გაიცა 300 (სამასი) ლარის ოდენობით; |

- ✓ სოციალურად დაუცველ ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს (გარდა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისა), თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 65 001-დან 100 000-მდე, საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხათ თანხა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

- **ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა ((06 02 12)** - ასი და ას წელს გადაცილებულ 10 ხანდაზმულისთვის პროგრამის ფარგლებში 1500 ლარის მატერიალური დახმარება გაიცა. პროგრამის მიზანია ას და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური დახმარება წელიწადში ერთხელ.

- **შპს პირთა დაცვის პროგრამა (06 02 13)** - 2019 წელს, შპს პირების ფინანსურ მხარდაჭერისა და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისთვის გაცემულმა თანხამ 60 000 ლარი შეადგინა. დახმარება მიიღო 240-მა ბენეფიციარმა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბენეფიციარების (18 წლამდე), აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარების (18წ-მდე), ლეიკემიით დაავადებული ბავშვების (18 წ-მდე),

ეტლს მიჯაჭვულების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების, მეტყველება და სმენადაქვეითებულების ფინანსურ დახმარებას;

- **სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა (06 02 14)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ფინანსური დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში, 4 ბენეფიციარს ყოველთვიურად 150 ლარი ერიცხება. ჯამურად მუნიციპალიტეტის მიერ რეინტეგრირებული ბავშვებისთვის გადარიცხულმა თანხამ ამ დროისთვის 6,000 ლარი შეადგინა.

- **სტუდენტების დახმარების პროგრამა (06 02 15)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებით ახორციელებს სტუდენტების სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების პროგრამას, რომელშიც ჩართულია 22 სტუდენტი. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტებისთვის წლის განმავლობაში 17 000 ლარი გაიცა.

- **სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა (06 02 16)** - სამკურნალო/საოპერაციო მომსახურებისა და კლინიკაში არსებული დავალიანებისთვის დახარჯულმა თანხამ 72 065 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 190 მოქალაქეს. პროგრამით მოსარგებლები არიან სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-სს.

- **ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა (06 02 17)** - 155 ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფს, რომლებიც საჭიროებდნენ საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას 112 537 ლარით დაფინანსდა.

- **მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 18)** - დაფინანსება მიიღო სოციალურად დაუცველმა 81-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომელთაც ყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილი (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000-მდე). მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარებისთვის გაცემულმა თანხამ 36 900 ლარი შეადგინა.

- **სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა (06 02 19)** - აღნიშნული პროგრამის საფუძველზე მატერიალური დახმარება მიიღო 80-მა მარტოხელა პენსიონერმა და მომსახურებისთვის გახარჯული თანხა შეადგენს 23 450 ლარს.

- **სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარების პროგრამა (06 02 20)** – მიმდინარე წელს დაფინანსება მიიღო 77 იძულებით გადაადგილებულმა პირმა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დევნილთა სოციალური დახმარებისთვის ჯამში 18, 600 ლარი გაიხარჯა.

- **მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა (06 02 21)** დაფინანსება მიიღო 71 მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარმა და ჯამში აღნიშნული კატეგორიისთვის 34 500 ლარის მატერიალური დახმარება გაიცა. პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- **სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 22)** - აღნიშნული პროგრამით მიმდინარე წელს დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 7 - ერთ წლამდე ასაკის ბავშვს. ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფისთვის იანვრიდან დღემდე 849 ლარი გაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩვილი ბავშვები დახმარების მიმღებნი არიან მანამ, სანამ სოციალური

რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებულ „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ საფუძველზე სოციალური მომსახურების სააგენტო ოჯახს არ გადასცემს ბავშვთა კვების ვაუჩერს.

- **ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 23)** – მიმდინარე წელს ამოქმედდა ახალი, ინოვაციური პროგრამა, რომელიც გულისხმობს: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი

ოჯახების (ქულა: 5 000-მდე), დედ-მამით ობოლი (18 წლამდე) ბავშვების ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის (დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, ეტლსმიჯაჭვული) მქონე (18 წლამდე) ასაკის ბავშვების ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანების (კოდი-311, 312, 313), სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების დახმარებას თვეში 50 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე პროგრამით ისარგებლა 150-მა ბენეფიციარმა (თებერვალი, მარტი, ნოემბერი) და ჯამში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აღნიშნულ პროგრამაზე გახარჯულმა თანხამ 18 150 ლარი შეადგინა.

- **სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა (06 02 24)** – 1055 მოქალაქეზე აღნიშნული პროგრამით გაიხარჯა 237 500 ლარი. ა) 1 000-დან 30 000 ქულის ჩათვლით 300 ლარის ოდენობით; ბ) 30 001-დან 65 000 ქულის ჩათვლით 200 ლარის ოდენობით).

- **სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა (06 02 25)** – აღნიშნული პროგრამა მუნიციპალიტეტისთვის სიახლეა, რომლის დამკვიდრება მიზნად ისახავდა საჩუქრების გადაცემას სადღესასწაულო დღეებში. აღნიშნული პროგრამისთვის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა 25 000 ლარით, ხოლო ამ ეტაპზე გახარჯულია 12 569 ლარი. სადღესასწაულო დღეებში საჩუქრები მიიღო 172-მა ოჯახმა (მრავალშვილიანმა ოჯახები, სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შშმ ვეტერანები, შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ეტლს მიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი.), სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები, ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1000-ს).

## საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა: საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 211 (ორას თერთმეტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამაც შეადგინა 28394953,9 (ოცდარვა მილიონ სამას ოთხმოცდაათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი ლარი და 90 თეთრი ) ლარი. 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 17671562,9 (ჩვიდმეტი მილიონ ექვსას სამოცდათერთმეტი ათას ხუთას სამოცდაორი ლარი და 90 თეთრი) ლარის შესყიდვა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 10 723 391 (ათი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას სამას ოთხმოცდათერთმეტი ) ლარის შესყიდვა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესასრულებლად).

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადებულია 142 (ას ორმოცდაორი) ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერებიდან გაფორმებული იქნა 98 (ოთხმოცდათვრამეტი) ხელშეკრულება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 22866418,9 (ოცდაორი მილიონ რვაას სამოცდაექვსი ათას ოთხას თვრამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი. 1 ტენდერი მიმდინარე ეტაპზეა, ასევე გამოცხადებული ტენდერებიდან უარყოფითი შედეგით დასრულდა 12 (თორმეტი), სადაც პრეტენდენტებმა არ

დააზუსტეს შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია. არ შედგა 21 (ოცდაერთი) ტენდერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია და შეწყდა 10 (ათი) ტენდერი, აღნიშნულ ტენდერებში ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლა.

36 ხელშეკრულება იქნა გაფორმებული შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 742813,92 (შვიდას ორმოცდაორი ათას რვაას ცამეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 73 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საიდანაც 2 ხელშეკრულება გაფორმდა - ექსკლუზიური უფლებამოსილებით, სახელშეკრულებო ღირებულება 152 960 (ას ორმოცდათორმეტი ათას ცხრაას სამოცი) ლარი. 6 ხელშეკრულება გადაუდებელი აუცილებლობით-სახელშეკრულებო ღირებულება 348477 (სამას ორმოცდარვა ათას ოთხას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი, 33 ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების სახელშეკრულებო ღირებულება 4 173 145,68 (ოთხი მილიონ ას სამოცდაცამეტი ათას ას ორმოცდახუთი ლარი და 68 თეთრი) ლარი, 2(ორი) ხელშეკრულება წარმომადგენლობითი ხარჯით - სახელშეკრულებო ღირებულება 3 525 (სამი ათას ხუთას ოცდახუთი) ლარი, 5 ხელშეკრულება ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადი - სახელშეკრულებო ღირებულებით 8516 (რვა ათას ხუთას თექვსმეტი) ლარი . 25 ხელშეკრულება მონეტარული ზღვრების დაცვით-სახელშეკრულებო ღირებულება 32597,5 (ოცდათორმეტი ათას ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი).

2 არარეგისტრირებული ხელშეკრულება გაფორმდა, სახელშეკრულებო ღირებულებით 6500(ექვსი ათას ხუთასი) ლარი. 2 ხელშეკრულება ერთობლივი ელექტრონული ტენდერით სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვაზე (NAT190004629), ღირებულებით 60000 (სამოცი ათასი) ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვები ხორცილდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 27,335.0 ათას ლარს; წლის განმავლობაში განხორციელდა ბიუჯეტის 12 ცვლილება, რის შედეგადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 52,697.9 ათასი ლარი. ბიუჯეტის აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განწერით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტისათვის ტრანსფერების გამოყოფით, კერძოდ:

1. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის - 1,290.0 ათ. ლარის ოდენობით.

2. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის - 285.7 ათ. ლარის ოდენობით.

3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6,608,507 ლარი, შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად: ქალაქ გარდაბანში შიდა გზების (თამარ მეფის, გამარჯვების, აშიშ ბილალის ქუჩები და ქვემო კაპანახჩის დასახლებაში მისასვლელი გზა და ჩიხი) რეაბილიტაციისთვის - 1,449,340 ლარი, სოფელ კრწანისში შიდა გზების მოასფალტება - 258,823 ლარი, სოფელ მუდანლოში შიდა გზების მოასფალტება - 305,044 ლარი, სოფელ სართიჭალაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 584,291 ლარი, სოფელ მარტყოფში ღვთაების მონასტერთან მისასვლელ გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარისა და ხიდის მოწყობა - 1,871,044 ლარი, სოფელ საცხენისისა და სოფელ ახალსოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1,053,571 ლარი, სოფელ კუმისში შიდა გზების მოასფალტება - 1,086,394 ლარი.

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 662,000 ლარი.

5. „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 429,000 ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამბულატორიული შენობების რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის: სოფელ ლემშენიერაში ამბულატორიის რეაბილიტაცია - 20,189 ლარი, სოფელ სააკაძეში ამბულატორიის რეაბილიტაცია - 25,044 ლარი, სოფელ ვაზიანში ამბულატორიის რეაბილიტაცია - 24,070 ლარი, სოფელ ახალსოფელში ამბულატორიის რეაბილიტაცია - 34,697 ლარი, სოფელ მუხროვანში ამბულატორიის მშენებლობა - 81,250 ლარი, სოფელ საცხენისში ამბულატორიის მშენებლობა - 81,250 ლარი, სოფელ თელეთში ამბულატორიის მშენებლობა - 81,250 ლარი, სოფელ ახალ სამგორში ამბულატორიის მშენებლობა - 81,250 ლარი.

6. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 285,000 ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად: სოფელ მარტყოფში ნაპირსამაგრი რკინაბეტონის კედლის მოწყობა - 141,940 ლარი, სოფელ მარტყოფში ნაპირსამაგრი გაბიონის კედლის მოწყობა - 32,660 ლარი, სოფელ კრწანისში (მთისძირში) არსებული არხის კალაპოტის გაწმენდა - 69,325 ლარი, სოფელ კრწანისში არსებული რკინაბეტონის და გრუნტის არხების გაწმენდა - 41,075 ლარი.

7. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის N2080 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 246,146 ლარი შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად: სოფელ ზემო თელეთში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 191,096 ლარი; სოფელ მულანლოში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 55,050 ლარი.“

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი მიმდინარე წელს შეადგენს 140.0 ათას ლარს. აღნიშნული ფონდიდან წლის განმავლობაში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, როგორებიც არის:

1. ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 13.9 ათასი ლარი;

2. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 2.0 ათასი ლარი;

3. უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 10.8 ათასი ლარი;

4. სტუდენტების დახმარების პროგრამა - 1.0 ათასი ლარი; 5. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე დაფინანსდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია - 43.0 ათასი ლარი.

2019 წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებამ მოამზადა 2019 წლის ბიუჯეტის I, II და III კვარტლების შესრულებები და წარადგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად.

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული 2019 წლის პირველი მარტის N443 ბრძანების შესაბამისად საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური კოორდინაციას უწევდა სამუშაო ჯგუფს.

## შიდა აუდიტის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სამ წლიანი სტრატეგიული გეგმით, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გრძელვადიან ხედვას. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე 2018 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებულ იქნა 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს აუდიტორული შემოწმება განხორციელდება 5 აუდიტის ობიექტში. აქედან 2 სტრუქტურულ ერთეულში (ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური; ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური) და 2 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ში („თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის“ და „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“) აუდიტორული შემოწმება დასრულებულია და შიდა აუდიტის მიერ შედგენილი ანგარიშები შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად გადაგზავნილია როგორც აუდიტის ობიექტთან, აგრეთვე ხელმძღვანელთან. დასკვნით ფაზაშია ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ აუდიტორული შემოწმების პროცედურები. აუდიტორული შემოწმებების პარალელურად შიდა აუდიტის სამსახური

ახორციელებს 2018 წელს მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩატარებული აუდიტის მონიტორინგს, რომელიც ასევე გათვალისწინებული იყო 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და რაზედაც შედგენილ იქნება შესაბამისი ანგარიში.

გარდა აუდიტორული შემოწმებისა, აუდიტის სამსახურის მიერ სისტემატურად მიმდინარეობს დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი იმ შესაძლო გადაცდომებთან დაკავშირებით,

რაც შეიძლება გახდეს სამსახურებრივი შემოწმების და დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა 3 (სამი) ასეთი გადაცდომა, რაზეც დაწყებულ იქნა დისციპლინური წარმოება, რომლის მასალებიც შესაბამის დასკვნებთან ერთად შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან. შიდა აუდიტის სამსახურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მაღალი დონის, შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ამ ეტაპზე თანამშრომელთა მცირე რესურსიდან და მომზადების დონიდან გამომდინარე ვერ ხერხდება იმ რაოდენობის ობიექტების შემოწმება, რაც უზრუნველყოფდა დამფუძნებლისთვის ინფორმაციისა და ანგარიშგებების სათანადო ვადებში და ხარისხით მიღებას. მიუხედავად კადრების მცირე რესურსისა და მათი მომზადების დონისა, შიდა აუდიტის სამსახური სრულად მოიცავს 2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობებს და განახორციელებს 2018 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების მონიტორინგს. აგრეთვე, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს 2020 წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც წარედგინება ხელმძღვანელს დასამტკიცებლად

## სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში საქართველოს მთავრობის დადგენილების N247 2015 წლის 2 ივნისის საფუძველზე 2019 წლის 10 იანვრიდან 30 აპრილამდე მიმდინარეობდა 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. სულ ასაყვანი იყო 601 ჭაბუკი, აყვანილ იქნა 421 ჭაბუკი, 180 ჭაბუკის აყვანა ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზის გამო. აგრეთვე მიმდინარეობს 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკებზე ინფორმაციის მოძიება, წერილები გადაგზავნილია სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში და გარდაბნის რესურსცენტრში (ფორმა N3).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N12 დადგენილების საფუძველზე ჩატარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა. გეგმა დავალება შეადგენდა 68 წვევამდელს, გამოძახებულ იქნა გამწვევ უბანზე 626 წვევამდელი, გამოცხადდა 450 წვევამდელი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 54 წვევამდელი, 396 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა

მიზეზის გამო. გადაიხადა გადავადების მოსაკრებელი ათმა წვევამდელმა, გადაეცა მასალები სასამართლოს 176 წვევამდელზე, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასულია 1435 წვევამდელი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აგვისტოს N360 დადგენილების საფუძველზე მიმდინარეობს სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა (2019 წლის 12 აგვისტოდან - 2019 წლის 28 დეკემბრამდე) გეგმა დაავალბა შეადგენდა 77 წვევამდელს, ამ ეტაპზე გამოძახებულ იქნა გამწვევ უბანზე 535

წვევამდელი, გამოცხადდა 396 წვევამდელი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 65 წვევამდელი, 331 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზის გამო. გადავადების მოსაკრებელი გადაიხადა შვიდმა წვევამდელმა, გადაეცა მასალები სასამართლოს 104 წვევამდელზე, დაჯარიმებულ იქნა 5 წვევამდელი. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასულია 1299 წვევამდელი.

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 21-მუხლის მე-3 პუნქტით ჩაირიცხა რეზერვში 322 წვევამდელი, სავალდებულო სამსახურგავლილი მოქალაქეები კანონის შესაბამისად ჩაირიცხნენ რეზერვში 99 წვევამდელი. რეზერვისტის დროებითი მოწმობა გამოწერილ იქნა 175 რეზერვისტზე.

## ადმინისტრაციული სამსახური

- ადმინისტრაციული სამსახური აქტიურად მონაწილეობდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებდა წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე ორგანიზებას უწევდა ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისთვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობასა და მათი წინადადებებისა და შენიშვნების
- გამართული მუშაობის მიზნით ხორციელდებოდა ცხრამეტევე ადმინისტრაციული ერთეულის შემოწმება/მონიტორინგი, ადმინისტრაციულ ერთეულებში გადანაწილებული თანამშრომლებისათვის კონსულტაციის გაწევა. ასევე ყოველდღიურად ხდებოდა ინფორმაციის მიღება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და შესაბამისი თანამდებობის პირებისა და უწყებებისთვის მიწოდება.
- ადმინისტრაციულმა სამსახურმა განახორციელა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.
- აქტიურად მონაწილეობდა ადმინისტრაციული ერთეულების სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის

კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში.

- 2019 წლის განმავლობაში ხდებოდა ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენა.
- ოპერატიულად მზადდებოდა ინფორმაცია მერიის საქმიანობის შესახებ და ქვეყნდებოდა როგორც ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასევე სოციალური ქსელის საშუალებით. ხორციელდებოდა მერიის საქმიანობის საინფორმაციო, ანალიტიკური, საცნობარი და ტექნოლოგიურ-პროგრამული უზრუნველყოფა, მერიის ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, თვითმმართველი ერთეულის მასობრივი ინფორმაციის

ორგანოებთან მუშაობის ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებები, განცხადებები და სხვა საინფორმაციო მასალები მიეწოდებოდა საინფორმაციო საშუალებებს.

- იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობა პრესკონფერენციების, ბრიფინგებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს ცხელი ხაზი, რომლის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, კერძო, იურიდიული თუ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის.
- ხორციელდებოდა ინფორმაციის გაშუქება ძირითადად ოფიციალურ ვებგვერდზე Gardabani.gov.ge-ზე, ასევე მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე „გარდაბნის მუნიციპალიტეტი/Municipality of Gardabani“ ხორციელდებოდა.
- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა საინფორმაციო სააგენტოსთან guardian.ge და ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიასთან „მე-4 არხი“, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. უზრუნველყვეს ინფორმაციების, პრესრელიზებისა და ფოტოების საფუძველზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის გაცნობა.
- 2019 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული 108 ინფრასტრუქტურული პროექტი გაშუქდა. ასევე აქტიურად შუქდებოდა სოციალურ-კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესები, რამაც ჯამში 278 პროექტი შეადგინა.
- ეტაპობრივად შუქდებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ინიციატივით გამართული დასუფთავების აქციები.
- საორგანიზაციო განყოფილების მიერ მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა გარდაბნის მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფა მერთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან. მზადდებოდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ.
- 2019 წელს განხორციელდა ყველა ადმინისტრაციული ერთეული საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ პროგრამაში ჩართვა. შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა მოქალაქეთა განცხადებებისა თუ სხვა სახის კორესპონდენციების მიღება და მათზე კანონით დადგენილ ვადებში რეაგირება.
- 2019 წლის იანვრიდან დღემდე გამოცხადდა 14 (თოთხმეტი) ღია და დახურული კონკურსი 17 პოზიციაზე, მათგან 8 ვაკანსიაზე კონკურსი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს (კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ეტაპი დასრულებულია), 2 ღია

და 1 დახურულიკონკურსი ჩაიშალა, რადგან ვერ შეირჩა შესაბამისი კონკურსანტი. აღნიშნულ კონკურსებში სულ წარმოდგენილ იქნა 212 (ორას თორმეტი) განაცხადი

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ იქნა 4309 (ოთხი ათას სამას ცხრა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, შედეგად 2017 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით გამოცემულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ამავე რაოდენობის ბრძანება.
- 2019 წლის განმავლობაში, იურიდიული განყოფილების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად ხდებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის ისე მოსახლეობისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.
- სასამართლოში მიმდინარე და დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია ამჟამად ჩართულია 19 მიმდინარე სასამართლო პროცესში, აქედან ყველა პროცესში მერია წარმოადგენს მოპასუხე მხარეს.

## ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დარღვევის 45 შემთხვევა, ის მოქალაქეები და ორგანიზაციები, რომლებსაც ეკისრებოდათ ფულადი სანქციები, დაჯარიმებულნი იქნენ კანონის შესაბამისად და ბიუჯეტში შეტანილი იქნა სულ 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ 50 000 ლარზე ნაკლებ ღირებულების პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურიდან შემოსულია 29 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და ხარჯთაღრიცხვები; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს მოსაკრებლების გადამხდელთა რეგისტრაციას და ბაზის შექმნას. დღეს-დღეობით დარეგისტრირებულია 190 ობიექტი, 2019 წელს დასუფთავების მოსაკრებლების თანხა შეადგინა 38216.37თ. ( ოცდათვრამეტი ათას ორას თექვსმეტი ლარი და ოცდაჩვიმეტი თ.), ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ობიექტების აღრიცხვა და რეესტრის შექმნა. ხოლო ვისაც ერიცხება დავალიანება ჩვენს მიერ გაფრთხილებული არიან კანონის შესაბამისად, რათა დაფარონ დავალიანება.

ზედამხედველობის სამსახური ასევე კონტროლს უწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ-გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობას. პერიოდულად ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიების ინსპექტირებას და სხვადასხვა დარღვევების გამოვლენა რეაგირებას.

## განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური

მოგესხეებათ, რომ განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომელიც ემსახურება მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას, ქალაქის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ცხოვრების განვითარებას. სამსახურის ხედვა ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესით, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემწყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

განათლებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. სამსახური თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ცდილობს მოახდინოს:

- კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვა;
- ეროვნული და ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებაზე ზრუნვა;
- ახალგაზრდების კულტურული განვითარების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა;

გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ რესურსს წარმოადგენს. ახალგაზრდობა ასაკობრივი განვითარების ის მნიშვნელოვანი პერიოდია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ დროის განმავლობაში ახალგაზრდები ცდილობენ, განავითარონ თავიანთი უნარები და შესაძლებლობები, რათა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება. აგრეთვე, სპორტის სისტემების დანერგვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და შემდგომი პოპულარიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს ჯანსაღი, მოტივირებული და წარმატებაზე ორიენტირებული თაობების ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას.

სწორედ ეს ყოველივე არის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის როლი და მნიშვნელობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილში.

რაც შეეხება 2019 წელს განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურმა წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები და სხვა აქტივობები:

- 28 იანვარი - სამსახურმა ა(ა)იპ სპორტულ ცენტრს უსასყიდლოდ გადასცა სპორტული ინვენტარი (22 230 ლარი);
- 7 თებერვალი - ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი „ეტალონის“ ფარგლებში ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მუნიციპალიტეტის სკოლებიდან მონაწილეობას იღებდა 84 მოსწავლე - (3000 ლარი);
- 20 თებერვალი - სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის სამსახურმა შეიძინა სპორტული ფორმები (1029 ლარი);
- 23 თებერვლიდან 13 აპრილის ჩათვლით - სამსახურმა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ფარგლებში ტრანსპორტით უზრუნველყო რეგიონულ პირველობაზე მოასპარეზე გუნდები (780 ლ);
- 20 მარტი - აზერბაიჯანელი ერის სახალხო დღესასწაული „ნოვრუზ-ბაირამი“, რომლის ფარგლებშიც სადღესასწაულოდ გაფორმდა ქალაქის ცენტრალური ქუჩა. ქ. გარდაბნის მეგობრობის სახლის და კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიება. ჩატარდა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ასევე მოწვეულმა შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმა (11 870 ლ);
- 1 აპრილი - ასირიელი ხალხის დღესასწაული „ხაბ-ნისანი“, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი და მოწვეული ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი, მოეწყო ეროვნული და ტრადიციული კერძების გამოფენა-დაგემოვნება (2100 ლ);
- 12 აპრილი - სამსახურის მხარდაჭერითა და ორგანიზებით მოეწყო საინფორმაციო ტური ქვემო ქართლში, რომელიც მიზნად ისახავდა ქვემო ქართლის ადგილების მონახულებას (550 ლარი);
- 3 მაისი - „ადღომის“ ბრწყინვალე დღესასწაული, რომლის ფარგლებშიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ სცენაზე მოწვეული შოუბიზნესისა და ცნობილი ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი (11 700 ლარი);
- 8 მაისიდან 31 აგვისტომდე - განხორციელდა ახალგაზრდული პროექტი „შემოიარე საქართველო“, რომლის ფარგლებში მოეწყო ერთ, ორ და სამდღიანი ექსკურსიალამპრობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (50500 ლარი);
- 8 მაისიდან - 14 მაისის ჩათვლით - „მოყვარულთა თასი 2019“-ის ფარგლებში გაიმართა მუნიციპალური შეჯიბრებები (გუნდების ტრანსპორტირება) (480 ლარი);

- 12 მაისი - „აპარნობა“. ღონისძიების ფარგლებშიც სოფ. მარტყოფში აპარნის წმ.გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები (2643 ლარი);
  - 18 მაისი - ახალგაზრდული პროექტი „საგანმურის ძიება“. ღონისძიების ფარგლებში ქ. სიღნაღში გაიმართა თამაში „განძის ძიება“, რომელშიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა (7995 ლარი);
  - 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო სადღესასწაულო კონცერტი (15 900 ლარი);
  - 4 ივნისი - შეძენილ იქნა სალამქრო ინვენტარი (4380 ლარი);
  - 6 ივნისი - სახალხო რელიგიური დღესასწაული „თელეთობა“, რომლის ფარგლებში სოფ. თელეთეში გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება (3930 ლარი);
  - 17 ივნისი - ლევან დევდარიანის სახელობის ღია პირველობა ფრენბურთში (2668 ლარი);
  - 27 ივნისი - „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში“ სტარტებში მონაწილეთათვის შეძენილ იქნა სპორტული ფორმები (264 ლარი);
  - 28 ივნისი - 7 ივლისი - საკალათბურთო გუნდის ტრანსპორტირება ბორჯომში (440 ლარი);
  - 18 აგვისტო - სოფ. სართიჭალაში გაიმართა ამირან გაჩეჩილაძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში (3450 ლარი);
  - 29 აგვისტო - სახალხო-რელიგიური დღესასწაული „ღვთაებობის“ ფარგლებში გაიმართა სპორტული ღონისძიება (3676 ლარი);
  - 28 სექტემბერი - „ახალგაზრდული ფესტივალი 2019“-ის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის გასართობი, ჩატარდა სადღესასწაულო კონცერტი (23 215 ლარი);
  - 28 სექტემბერს - „ახალგაზრდული ფესტივალი 2019“-ის ფარგლებში მონაწილეობისა და დასწრების მიზნით მოხდა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ტრანსპორტირება სხვადასხვა სოფლიდან (1500 ლარი);
  - 10 სექტემბერი - საფეხბურთო ტურნირის „მასტერ ლიგის“ ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით მოხდა აღნიშნულ ტურნირზე გუნდების ტრანსპორტირება სხვადასხვა სოფლიდან (300 ლარი);
  - 24 სექტემბერი - სახალხო დღესასწაული „კრწანისობა“ - რომლის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება (3271 ლარი);
  - 4 ოქტომბერს - სახალხო დღესასწაულის „გარდაბნობის“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, კერძოდ: გაფორმდა ქალაქის ცენტრალური ქუჩა, ღონისძიების ადგილას სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ სცენაზე გაიმართა მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეებისა და ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოვება, მოწვეული შოუ-ბიზნესისა და ცნობილი ჯგუფის მონაწილეობით ჩატარდა სადღესასწაულო კონცერტი (26 135 ლარი);
  - 23-26 ოქტომბერი - „სპორტული კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება (9641 ლარი);
  - 28 ოქტომბერი - „სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის“ შეძენილ იქნა მედლები და დიპლომები (1267 ლარი);
  - 21 ნოემბერი - შეძენილ იქნა საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამარჯვებულისთვის გადასაცემი წიგნების მალაზიათა ქსელის სასაჩუქრე ვაუჩერი (500 ლარი);
- განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის მიერ მხარდაჭერისა და მონაწილეობის მიზნით რეგულარულად ხდება რეგიონის მასშტაბით დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებში, კულტურულ ღონისძიებებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

